საარჩევნო უბანი პურის მცხობელთა კავშირის ჯგუფკომის შენობაში, კალინინის ქ. № 4. საზღვრები: თუნის ქ. № 3-დან 11-ის ჩათვლით; თუნის და ციმაკურიძის ქ. ქ. № 1/5; თუნის და სვერდლოვის ქ. № 13/6; სვერდლოვის ქ. № 4-ბ; ჩუღურეთის ქ. და გორკის ქ. № 5/6, 7/4, 9/2; ციმაკურიძის ქ. № 6; ციმაკურიძის ქ. და ჩუღურეთის ქ. № 8/8; ზასულიჩის ქ. № 4-დან 12-ის ჩათვლით; ზასულიჩის და სვერდლოვის ქ. № 14/4; ზასულიჩის და ციმაკურიძის ქ. № 2/3; ციმაკურიძის ქ. № 4; ციმაკურიძის და გორკის ქ. № 2/1; გორკის ქ. № 3; კალინინის მოედანი და ზასულიჩის ქ. № 3/1, 1/3, 13/5; ხეთაგუროვის ქ. № 2; ზასულიჩის ქ. № 7.

საარჩევნო უბანი კვების მრეწველობის კომბინატის შენობაში, ნარიყალის ქ. № 2. საზღვრები: კლარა ცეტკინის ქ. № 17, 15, 11; კლარა ცეტკინის და ნეკრასოვის ქ.ქ. № 9/12; ნეკრასოვის № 14, 16; ნეკრასოვის და კალინინის ქ. № 18/16; კალინინის ქ. № 18; კლარა ცეტკინის ქ. № 22-დან № 12-ის ჩათვლით, ტყვიავის ჩიხი № 2, 4, 6, ტყვიავის ქ. № 9; ტყვიავისა და კლარა ცეტკინის ქ.ქ. № 11/22; ნეკრასოვის ქ. № 8, ნეკრასოვისა და კლარა ცეტკინის ქ.ქ. № 10/14; ტოლსტოისა და ნეკრასოვის ქ. № 21/1, ნეკრასოვის ქ. № 3; ნეკრასოვის და კლარა ცეტკინის ქ. № 5/12; გორკის ქ. № 8/6, 14, 12; გორკის 1-ლი ჩიხი № 18; გორკის და კალინინის ქ. № 10-7, 6, 5; კალინინის ქ. № 9; გორკის ქ. № 4; გორკისა და კალინინის ქ. № 2/1; კალინინის ქ. № 30; კალინინის ქ. № 8, 10, 12; კალინინის და ნეკრასოვის ქ. № 14/11; ნეკრასოვის ქ. № 9; ნეკრასოვის და კლარა ცეტკინის ქ. № 7/7.

საარჩევნო უბანი „ქართული პურის" შენობაში, რიყის ქ. № 1. საზღვრები: კლარა ცეტკინის ქ. № 3; კლარა ცეტკინის, ტოლსტოის და კალინინის ქ. № 1-9-6; კალინინის ქ. № 4; კალინინის და ტოლსტოის ქ. № 2/3; კლარა ცეტკინის ქ. № 4-დან 10-ის ჩათვლით; კლარა ცეტკინის და ტოლსტოის ქ. № 2/11; ტოლსტოის ქ. № 13-დან 19-ის ჩათვლით, № 6-დან 16-ის ჩათვლით; პლატონის ქ. № 6/8; პლატონის ქ. № 1, 3, 3-ა-5, 7/2; პლატონის და დიდხევის ქ.ქ. № 2/1; დიდხევის და ტოლსტოის ქ.ქ. № 3/2-ა, 5/2; პლატონის და ტოლსტოის ქ. № 4/4; დიდხევის ქ. № 2, ხეთაგუროვის ქ. № 1, 3.

საარჩევნო უბანი ცენტრალური ავტოსკოლის შენობაში, ხეთაგუროვის ქ. № 13. საზღვრები: ხეთაგუროვის ქ. № 4, 6, 8, 5, 7, 9, 11; ზასულიჩის ქ. № 13/2, 17, 9; სვერდლოვის ქ. № 1; სვერდლოვისა და ზასულიჩის ქ.ქ. № 3/18; სვერდლოვის ქ. № 5, თუნის ქ. № 15; ზასულიჩის ქ. № 20, 22; თუნის ქ. № 17, 19; ზასულიჩის ქ. № 24; ზასულიჩის და წყალამწევის ქ. № 26/4; წყალამწევის და თუნის ქ.ქ. № 8/23; წყალამწევის ქ. № 6; თუნის ქ. № 24, 26, 28, 22; თუნის ქ. № 20-დან 34-ის ჩათვლით; ჩუღურეთის შეს. № 3-დან 9-ის ჩათვლით, თუნის ქ., სვერდლოვის ქ. და ჩუღურეთის შეს. № 18/7/1, თუნის შეს. № 6, 4, 2, 12, 10, 8.

საარჩევნო უბანი ორჯონიკიძის ქარხნის პოლიკლინიკის შენობაში, არსენალის მთა. საზღვრები: ჩუღურეთის შეს. № 21, 1/1; ჩუღურეთის შეს. № 14/13, 16, 12/11, 10/9, 8/7, 6, 4; სვერდლოვის ქ. № 9/2; ჩუღურეთის პირველი შესახვევი № 4; ჩუღურეთის შესახვ. № 6-ა, 6, 8, 10, 12, 14; ჩუღურეთის შეს. № 16-დან 30-ის ჩათვლით; დოქის შეს. № 14, 16; ჩუღურეთის შეს. და თუნის შეს. № 22, 27; მექოთნეთა შესახვ. № 7; ჩუღურეთის 27, 29, 31, 33; ჩუღურეთის ქ. № 17, 25, 19, 21, 23, 35, 35-ა, 37; კუმისის შეს. № 3, 5; კუმისის ქ. № 17-დან 25-მდე და 30-დან 40-მდე; ჩუღურეთის ქ. № 19-დან 29-მდე, ჩუღურეთის ქ. და თუნის შეს. № 12/17; მექოთნეთა შესახვევი № 19, 21, 23, 25; ჩუღურეთის შეს. № 16, 18, 20; ჩუღურეთის შესახვ. და ჩუღურეთის ქ. შორის სახლი № 9, 11.

საარჩევნო უბანი არტელ „შრომის გმირის" შენობაში, ხეთაგუროვის ქ. № 4. საზღვრები: არსენალის გზატკეცილი № 47, 41, 39; ურიცკის მოედანი № 7; ურიცკის მოედანი და ჩუღურეთის ქ. № 6/43, ურიცკის მოედანი № 4, ურიცკის ქ. № 2; ურიცკის შეს. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 10, 11, 13; კიბალჩიჩის ხევი № 4-ა, 4, 5, 3, 6, 6-ა, 31, 32, 33, 17, 17-ა; ურიცკის ქ. № 40-დან 64-ის ჩათვლით; საპნის შეს. № 3, 7, 9, 5; საპნის ქ. № 12-ა, 14/1; არსენალის შეს. № 16, 16-ბ, 12; ბალმაშევის

ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის საარჩევნო უბნები

(დასასრული)

შეს. № 1-დან 14-ის ჩათვლით (ლუწი და კენტი ნომრები), ჩალის ჩიხი № 3, 5, 7, 9, 4, 6, 10, 12, 14; ჩალის ქ. № 6/8, 11, 13, 10, 15; გრემის ქ. № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 12, 14; სპარტაკის შესახვ. № 3, 7, 5, 10, 6, 4, 2; სპარტაკის ქ. № 3, 5, 7, 10, 9, 11, 12, 4, 6; კიბალჩიჩის ქ. № 14, 16, ...

... 44, 42, 40, 36, 32, 26, 12, 16, 10, 24-22, 18, 14, 52, 56, 10, 2, 4, 8; კიბალჩიჩის ქ. № 33, 36, 31, 34, 32, 29, 30, 28, 27, 25, 26, 23, 21, 19; კობოზოვის ქ. № 7, 5, 1; ქედის მეორე შესახვ. № 7, 6, 5, 4; ქედის შესახვ. № 8, 6, 4; კიბალჩიჩის ქ. № 17;

ქედის ჩიხი № 3, 5; ქედის შესახვ. № 1, 3, 9, 7, 5; კარდანახის შეს. № 1/6, 3, 5, 7, 9, 9-ა, 11; სამოქალაქო ქ. № 12-ა, 12, 14; კიბალჩიჩის ქ. № 11, 13, 15, 9, 7/2; კიბალჩიჩის შესახვ. № 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18/6; სამოქალაქო ქ. № 6, 8, 10; კარდანახის შეს. № 13, 15; ...

... ლურეთის ქ. № 10, 13; მექოთნეთა შესახვევი № 4-დან № 14-მდე; ზასულიჩის ქ. № 28/7, 30, 32, 34/36, 38, 37/6; თუნის ქ. № 27-დან 35-ის ჩათვლით; წყალამწევის ქ. № 9/25, 1/10, 3; ზასულიჩის ქ. 15/5 და 17-დან 25-ის ჩათვლით; რიყის ქ. № 12, 14 და 16/18-დან 30-ის ჩათვლით;

ზასულიჩის ქ. № 29/4, 27, 31/3, 33/4, 35/3, 37.

საარჩევნო უბანი მუსიკალური ტექნიკუმის ინტერნატის შენობაში. საზღვრები: მექოთნეთა ქ. № 3-დან 13-ის ჩათვლით; კუმისის ქ. № 10-დან 32-მდე; შერდულის შეს. № 3-ა-დან 9-მდე; საპნის ქ. № 2-დან 12-მდე; საპნის შესახვ. № 4; თუნის ქ. № 56-დან 60-მდე; კუმისის ქ. № ...

... თაგუროვის ჩიხი № 4, 3; ხეთაგუროვის ქ. № 38-დან 40-მდე; ზასულიჩის ქ. № 39-დან 47-ის ჩათვლით და 54/1, სანთლის შესახვ. № 3/6, კიბალჩიჩის ხევი № 1/2, 3; კიბალჩიჩის ქ. № 1/4, 6, 14; კიბალჩიჩის აღმართი № 10, 12, 4, 6, 8, 3; ხეთაგუროვის ქ. № 42-ა, 42-ბ; ურმის ჩიხი 2, 4, 6, 8,

ხეთაგუროვის ქ. № 37, 41, 41-ა, 43, 44; ურმის ქ. № 3, 5, 7.

საარჩევნო უბანი გლეხთა სახლის შენობაში, პეტრიწის მოედანი № 23. საზღვრები: ორბელის შესახვევი № 2/6-დან 10-ის ჩათვლით; კიბალჩიჩის აღმართი № 11-დან 19-მდე; კიბალჩიჩის მთა № 3; შემოსავლელი ქ. № 12-დან 22-ის ჩათვლით; ...

... ქ. № 71, 73, 75; თულუხის ქ. № 2, 4; პეტრიწის მოედანი № 4, 6, 8 და № 10-დან № 16-ის ჩათვლით; ხეთაგუროვის ქ. №№ 77, 73, 81, 60, 62, 66; პეტრიწის მოედანი 1-დან 19-ის ჩათვლით; ხეთაგუროვის ქ. № 68, 83, პეტრიწის მოედანი № 18, 20, 22/23, 25, 27, 29.

საარჩევნო უბანი არტელ „ტაბახმელის“ შენობაში, პეტრიწის მოედანი № 20. საზღვრები: ხეთაგუროვის ქ. № 78, 80; ტიკის შესახვ. № 2, 4, 6; დუტუ მეგრელის ქ. № 9, 11, 13, 15, 17; ბზის მოედანი № 3/5; ხეთაგუროვის ქ. № 70-დან 76-ის ჩათვლით, № 85-დან 91-ის ჩათვლით; პეტრიწის მოედანი № 22, 24, 26, 28, 31, 33; ...

... № 60.

საარჩევნო უბანი, საევაკუაციო ჰოსპიტალ № 1434-სთან, კალინინის ქ. № 51.

საარჩევნო უბანი ალგებინითი ქირურგიის პირველ საავადმყოფოსთან, პლეხანოვის პროსპ. № 66.

ქ. თბილისის ბერიას რაიონის საარჩევნო უბნები

(ბერიას რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებიდან)

მშრომელთა დეპუტატების ბერიას რაისაბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა შემდეგი საარჩევნო უბნები, რომლებიც საერთო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის:

საარჩევნო უბანი ქალთა მე-3 სკოლის შენობაში, კოჯრის ქ. № 1, საზღვრები: კომკავშირის ხეივანი, ენგელსის ქუჩა № 62, მცირე შესახვევის ლუწი ნომრები მთლიანად, დავითაშვილის ქუჩა №№ 12, 14, 17, ...

საარჩევნო უბანი ციკავშირის შენობაში, ბერიას მოედანი № 7. საზღვრები: კიროვის ქუჩის ლუწი მხარე № 2-დან 14-მდე, მახარაძის ქუჩა № 3, აქედან კვარტალის გადაკვეთით ჯაფარიძის ქუჩის № 15-ისა და № ...

... რუსთაველის პროსპექტი № 11-დან № 19-მდე, აქედან კვარტალს შიგნით სტამბის შესახვევით ძნელაძის ქ. № 2-საკენ და № 5, აქედან კვარტალზე გავლით ძნელაძის პირველი ჩიხის ლუწი მხარე მთლიანად, კვარტალს შიგ...

... ტი, № 48. საზღვრები: მოსკოვის ქუჩა № 12-დან № 44-მდე მთის კალთა პაპანინის ქუჩამდე, კვარტალს შიგნით ცხემის ქუჩით № 12-მდე, აქედან კვარტალს შიგნით პაპანინის ქუჩის № 22-მდე, პაპანინის მე-2 ჩიხი, კვარტალს ...

... მხარე და ლუწი მხარის № 6-მდე, კვარტალზე გავლით ვეძინის ქუჩა № 5, ყიფიანის ქუჩიდან არსენას ქუჩამდე, არსენას შესახვევი, ბესიკის ქუჩა № 7-დან № 1-მდე და ლუწი მხარე № 10/23 და № 8/20.

...

... ვის ქ. № 8. საზღვრები: ენგელსის ქუჩა №№ 19, 30, 23 და 25, მახალის ქუჩა № 22-დან 10-მდე № 12-ის გამოკლებით, ლერმონტოვის ქუჩა № 14 და № 12, კვარტალს შიგნით წერეთლის ქუჩის № 19-საკენ, ამ ქუჩით № 10-მდე, ამ სახლიდან კვარტალის გადაკვეთით კომინტერნის ქუჩის № 5-საკენ, ამიერკავკასიის ფედერაციის ქუჩა № 5-დან № 19-მდე.

... ქუჩის № 12-საკენ, კვარტალს შიგნით კოლმეურნეობის ქუჩის № 3-ისა და № 2-საკენ, რუსთაველის პროსპექტი, ჩიტაძის ქუჩა, ძერჟინსკის ქუჩა № 15, აქედან კვარტალს შიგნით ბერიას მოედანი № 3, პუშკინის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი.

საარჩევნო უბანი განათლების მუშაკთა სახლის შენობაში, ფურცელაძის ქ. № 3. საზღვრები:

... ტალს შიგნით ლიბკნეხტის ქ. № 4, კვარტალზე გავლით გაბაშვილის ქუჩა № 18, კვარტალს შიგნით ლენინის ქუჩის № 4-დან რუსთაველის პროსპექტის № 43-მდე, სამხედრო ქუჩა № 4, ხანძრის ქუჩა № 2-დან № 12-მდე.

საარჩევნო უბანი კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ელექტროტექნიკუმის შენობაში, რუსთაველის პროსპექ-

... ბაში, ათარბეკოვის ქ. № 32. საზღვრები: რუსთაველის პროსპექტი № 4-დან № 16-მდე, წულუკიძის ქუჩა № 2-დან № 6-მდე, გრიბოედოვის ქუჩა № 9-დან № 5-მდე და № 4, კვარტალზე გავლით წულუკიძის ქუჩის № 10-საკენ, ათარბეკოვის ქუჩა № 30, კვარტალზე გავლით ჭავჭავაძის ქუჩის № 12-დან № 18-მდე, ჩაბალის შესახვევი, თხინვალის ქუჩის კენტი ...

... სახვევის № 6-საკენ, კვარტალს შიგნით ბესიკის მე-2 შესახვევის № 3-სა და № 8-საკენ, ნიალის ქუჩა, ყიფიანის მეორე შესახვევი, აუზის ქუჩა აუზის შესახვევის № 2 და № 4-მდე, მთის კალთით ყიფიანის ქუჩის № 53 და № 44-საკენ.

საარჩევნო უბანი საევაკუაციო ჰოსპიტალ № 2454-თან.

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობა და პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება, 2. საქართველოს კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის ანგარიში და 3. ორგანიზაციული საკითხი.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების გამგის ი. ლომინეიშვილის მოხსენება. მან აღნიშნა, რომ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს სერიოზული მიღწევები აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. 1945 წლის დავალებანი პირველი ნოემბრისათვის შესრულებულია: ცხენების დარგში 104 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის — 100,9 პროცენტით, ცხვრისა და თხის—99,4 პროცენტით. გეგმა შესრულებული არ არის მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის დარგში. სტალინირის რაიონში არის პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები. საერთოდ ოლქში დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. წველადობის გეგმა სანახევროდაც არ სრულდება.

პირველი საკითხის გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ცხოვრებოვმა (ჯავა), ი. გალდავამ (ლენინგორი), რ. ბერუაშვილმა (სტალინირი), დ. გაბარაევმა (ზნაური), გ. ბრიშვილმა (სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტი), გ. ოვანოვმა (საოლქო აღმასკომი).

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის მდივანმა ვ. სანაკოევმა.

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი.

ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო გაათავისუფლა და ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ვ. ხეთაგუროვი. საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში არჩეულ იქნა ამხ. ი. კუდუხოვი.

ა. კრიხელი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრება

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დარბაზში შედგა ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ამხ. გ. ელისაბედაშვილთან.

დარბაზში თავი მოიყარეს ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის მსმენელებმა, რომლებიც 1946 წლის 10 თებერვალს პირველად მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

შეკრება გახსნა ინსტიტუტის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. თაბუკაშვილმა.

მქუხარე ტაშითა და ოვაციებით შეკრება საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით.

ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. გ. ელისაბედაშვილი. იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მისცა საბჭოთა ქვეყნის ხალხებს სტალინურმა კონსტიტუციამ, რა მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, და მოუწოდებს ახალგაზრდებს ღირსეულად შეხვდნენ არჩევნებს, კარგად ისწავლონ.

— იყავით ღირსნი საბჭოთა ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქის სახელის ტარებისა, — ამბობს დასასრულ ამხ. ელისაბედაშვილი.

— არაფერია იმაზე უფრო სასიხარულო და საამაყო, როცა იცი, რომ მილიონობით საბჭოთა მოქალაქესთან ერთად ხმას მისცემ ჩვენი სამშობლოს ღირსეულ შვილებს, — ამბობს ფრიადოსანი სტუდენტი ეშხან სალუქვაძე.

ასეთივე აღფრთოვანებული სიტყვებით გამოვიდნენ ახალგაზრდა ამომრჩევლები ე მინდიაშვილი, შ. კოხრეიძე. საკუთარი ლექსი წაიკითხა ფრიადოსანმა სტუდენტმა ქალმა თ. ჩხიკვაძემ.

ბოლოს სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ერ. ბურჭულაძე, რომელმაც ახალგაზრდობის სახელით მადლობა გადაუხადა ამხ. ელისაბედაშვილს და გამოთქვა რწმენა, რომ სტუდენტები ბეჯითი სწავლით, მეცნიერების დაუფლებით გაამართლებენ საბჭოთა მოქალაქის საპატიო სახელს.

ფ ყ ი ბ უ ლ ი

კრამიტის ქარხანა კოლმეურნეობაში

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (ახალი სოფელი) გამგეობამ საკუთარი სახსრებით კრამიტის ქარხანაააგო. ქარხანამ წელს 12 ათასი ცალი კრამიტი გამოუშვა, რომლითაც გადახურულ იქნა კოლმეურნეობის ბოსლები, ფარდულები და სასიმინდეები. კრამიტის ნაწილი მიეცა წითელარმიელთა ოჯახებს.

მცირეძალოვანი ელსადგურის მშენებლობა

სოფელ მანდიკორის კოლმეურნეობაში შეუდგნენ მცირეძალოვანი ელსადგურის მშენებლობას. ელსადგური მომსახურებას გაუწევს სოფელ მანდიკორსა და მის ახლო მდებარე კოლმეურნეობებს.

მშენებლობა პირველი იანვრისათვის დამთავრდება. კოლმეურნეთა სახლებს საახალწლოდ ილიჩის ელნათურები გაანათებს.

სკოლები მზად არ არიან ზამთრის პირობებში მუშაობისათვის

(გურჯაანი, „კომუნისტის“, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გურჯაანის რაიონის კალაურის არასრული საშუალო სკოლა მომზადებული შეხვდა ზამთარს. სკოლის შენობა დროულად შეკეთეს, შეიძინეს ყველა საჭირო ინვენტარი, მოიმარაგეს სათბობი. აღსანიშნავია, რომ მშობელთა კომიტეტი აქტიურად მონაწილეობს სკოლის კეთილმოწყობაში. ამას წინათ მშობელთა კომიტეტის ინიციატივით შეგროვებულ იქნა თანხები, რაც მოხმარდა ფანჯრებში მინების ჩასმას. მომზადებული შეხვდა ზამთარს აგრეთვე სოფელ შრომის საშუალო სკოლა.

სულ სხვა სურათია სოფელ კარდანახის სრულ საშუალო სკოლაში. მას მუშაობა დაუმთავრებელ შენობაში უხდება. მოწყობილია მხოლოდ ორი საკლასო ოთახი, სადაც შეიძლება მეცადინეობა. შეუკეთებელია შენობის სახურავი, დაუმთავრებელია კიბე. სკოლას საკმაოდ არა აქვს შეშა.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლაში (დირექტორი. მ. იმერლიშვილი). სკოლის კეთილმოწყობისათვის ნაკლებად ზრუნავენ სასოფლო საბჭო და მასში შემავალ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. უკეთესად არ არის საქმე ველის ციხის საშუალო სკოლაშიც.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რათა სკოლებს შეექმნათ ნორმალური პირობები ზამთარში მეცადინეობისათვის.

სამხედრო მოსამსახურეთა ბინების შეკეთება

ბულრიფშის რაიონის კოდორის ხე-ტყის სახერხი კომბინატის საერთო საცხოვრებელში სამხედრო მოსამსახურეთა 49 ოჯახი ცხოვრობს. კომბინატის ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილკომი მათდამი დიდ მზრუნველობას იჩენენ. ყველა ოჯახის ბინას გაუკეთეს რემონტი, შეშით მომარაგებულია ყველა აქ მცხოვრები.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

29 ნოემბრის დილის სხდომა

ბრალდებულ იოდლის დამცველი დოქტორი ექსნერი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ბრალდებამ სამობილიზაციო გეგმა გამოიყენოს, როგორც დოკუმენტი. იგი აცხადებს, რომ სამობილიზაციო გეგმა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავსტრიის წინააღმდეგ გერმანიის ზრახვათა დამამტკიცებელ საბუთად, ვინაიდან გეგმა შედგენილია „ყოველი შემთხვევისათვის". იგი სა- [illegible] ნია თავს არ დაესხმია ავსტრიას და რომ ისტორიამ მხოლოდ შეცდომა ჩაიდინა".

ოლდერმენი კითხულობს ამერიკის ელჩ ბულიტის დეპეშებს სახელმწიფო მდივნისადმი 1937 წლის შემოდგომაზე ნოირატსა და გერინგთან ბულიტის საუბრის შესახებ. გერინგმა გულახდილად აღიარა, რომ გერმანიას განზრახული აქვს დაიპყროს ავსტრია და ჩეხოსლოვაკია და ერთად მოეყაროს თავი გერმა- [illegible]

[illegible]

29 ნოემბრის საღამოს სხდომა

[illegible]

... ლებმა გააკეთეს.

ტრიბუნალის 29 ნოემბრის საღამოს სხდომაზე ბრალდების ამერიკელმა წარმომადგენელმა ოლდერმენმა კვლავ მოიყვანა ციტატები გერინგის იმდროინდელი ლაპარაკიდან ტელეფონით, როცა გერმანელმა ფაშისტებმა ავსტრია დაიპყრეს. ეს ლაპარაკი ცხადჰყოფს ავსტრიელი კვისლინგის ზაის-ინკვარტის გამცემ- [illegible]

[illegible] გერმანიამ დაარღვია ვერსალის ხელშეკრულების 80 მუხლი და სენ-ჟერმენის ხელშეკრულების 88 მუხლი.

ოლდერმენის გამოსვლის შემდეგ ბრალდების ამერიკელმა წარმომადგენლებმა დოკუმენტალური დასაბუთებისათვის უჩვენეს გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებათა ამსახველი ფილმი.

30 ნოემბრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომა, რომელიც 40 წუთის დაგვიანებით გაიხსნა, დაიწყო დაცვისა და ბრალდების გაცხოველებული პაექრობით მოწმეთა გამოწვევისა და დაკითხვის წესის შესახებ. როდესაც ამერიკის ბრალდების წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ემინმა განაცხადა, რომ ბრალდებას განზრახვა აქვს ტრიბუნალის დღევანდელ სხდომაზე გამოიწვიოს [illegible]

სუბა, რომ ამ ლონისძიებაზე, ისე როგორც პოლონეთში განსახორციელებელ ყველა სხვა ღონისძიებაზე ჰიტლერი და გერინგი შეთანხმებული იყვნენ და რომ მან, კაიტელმა ვერ შესძლო წინააღმდეგობა გაეწია მათი სურვილის განხორციელებისათვის. მისი სიტყვით „ფიურერი და გერინგი ხშირად რეკავდნენ ტელეფონით და უნდოდათ შეეტყოთ მათი ბრძანების შესრულება".

[illegible]

[illegible] მანელ-უკრაინელ ნაციონალისტთა „აჯანყება" გერმანელებისათვის არასასურველი პოლონელების მოსასპობად და პოლონელი ხალხის წინააღმდეგობის ნებისყოფის შესასუსტებლად. „კანარისმა ჰკითხა კაიტელს, — ამბობს ლახუზენი, — ვინ მისცა მითითება ჰაერიდან ვარშავის დანგრევის შესახებ. კაიტელმა უპა- [illegible] ცოცხლად დარჩენილ წარმომადგენელთაგან, მოწმე უპასუხებს, რომ, მის გარდა, დარჩა კიდევ ორი ან სამი პირი, დანარჩენები მოსპობილი არიან წარსული წლის ზაფხულში ჰიტლერზე უშედეგო თავდასხმის შემდეგ.

მოწმე ლახუზენის დაკითხვის გაგრძელება გადატანილ იქნა საღამოს სხდომაზე.

მთავრობის კრიზისი იტალიაში

რომი, 30 ნოემბერი. (საკდესი). იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ფრანჩესკო სავერიო ნიტიმ, რომელმაც, მიუხედავად დაჟინებითი რეცლამისა, ვერ მოახერხა მთავრობის ახლანდელი კრიზისის მსვლელობაში უზრუნველეყო თავისთვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტის დაკავების შანსები, გამოაქვეყნა პროგრამა თავისი ახალი პოლიტიკური პარტიისა, რომელსაც ეწოდება „ეროვნული რეკონსტრუქციის კავშირი". ნიტის პროგრამა შეიცავს 12 მუხლს და ილაშქრებს როგორც „რეაქციის", ისე „რევოლუციის" წინააღმდეგ. თუ როგორ ესმის ნიტის სიტყვა „რევოლუცია", ამას მოწმობს მისი პროგრამის მუხლი, რომელიც მოითხოვს „ყველა იმ ორგანიზაციის მოსპობას, რომლებიც შექმნილია იტალიაში ფაშიზმის შემდეგ", პირველ რიგში ეროვნული განთავისუფლების კომიტეტების მოსპობას.

რომის ახალი გაზეთი „მონდო", რომელსაც სცემს „მოქმედების პარტიის" მემარჯვენე ფრთა, კომენტარს უკეთებს ნიტის პროგრამას და აღნიშნავს მისი პროგრამის სრულ უშინაარსობასა და დემაგოგიას. გაზეთი „უნიტა" ნიტის პროგრამას ახასიათებს, როგორც ცდას ძირი გამოუთხაროს იტალიელი ხალხის ეროვნულ ერთიანობას.

ქალთა საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესი პარიზში

პარიზი, 29 ნოემბერი. (ტელეფონით საკდესის კორესპონდენტისაგან). დღეს ქალთა საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესი მუშაობას განაგრძობდა დოლორეს იბარურის თავმჯდომარეობით. „ფრანგი ქალების კავშირის" თავმჯდომარემ კოტონმა გამოაქვეყნა „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის" წესდების პროექტი.

კონგრესზე გამოქვეყნებულ იქნა მრავალი მისალმება მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციისა და მოღვაწისაგან.

კონგრესის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი წესდების პროექტის გამო.

პარიზი, 30 ნოემბერი. (ტელეფონით საკდესის კორესპონდენტისაგან). ქალთა ანტიფაშისტური საერთაშორისო კონგრესის დღევანდელ სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს ამერიკის დელეგატმა ბიჩოტმა და ინგლისის დელეგატმა პრატ-კლარკმა (ორივე მეცნიერი მუშაკია), რომლებმაც ენერგიული პროტესტი განაცხადეს ატომის ენერგიის გამოყენების დარგში მოხდენილ აღმოჩენათა საიდუმლოდ შენახვის წინააღმდეგ და მოითხოვეს, რომ „ატომის ენერგიის საიდუმლო" გადაეცეთ მოკავშირე ერებს მშვიდობიანი მიზნებისათვის. კონგრესი შეუერთდა ამ მოთხოვნას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დავალებით კარტოგრაფიის განყოფილების გამგე ინჟინერი ვ. ა. ტუგულოვი ამზადებს საქართველოს რელიეფურ რუკას, რომელიც ამოჭრილი იქნება მარმარილოზე. ქალაქები და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები აღნიშნული იქნება იაგუნდის, ზურმუხტის და სხვა ძვირფასი თვლებით, მდინარეები — ვერცხლით, მთავარი წარწერები — ოქროთი.

რუკის ასეთი მაგარი მასალისაგან დამზადების იდეა ახალი და ორიგინალურია. გარდა იმისა, რომ ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ზუსტი რელიეფური დოკუმენტაციის შენარჩუნება, ასეთ რუკას ექნება გარკვეული მხატვრული ღირებულება.

სურათზე: რუკაზე მუშაობის მომენტი წითელი არმიის რიგებიდან ახლახან დემობილიზებული მოქანდაკე ვახტანგ მაღრაძე აჭარმოებს მარმარილოზე რუკის რელიეფის ამოჭრას.

კონკურსი ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლზე

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოაცხადა ღია კონკურსი ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ასაგებად ქალაქ თბილისში ბარათაშვილის სახელობის ხიდთან მდებარე ბაღში. კონკურსის მიზანია შეიქმნას მაღალმხატვრული მონუმენტი დიდი პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ძეგლის გაფორმებას საფუძვლად უნდა დაედოს პოეტის უკვდავი ნაწარმოები „მერანი".

კონკურსის მონაწილე მოქანდაკეებმა უნდა წარმოადგინონ თაბაშირის ესკიზები, რომლის სიდიდე კვარცხლბეკით უნდა უდრიდეს ნახევარ მეტრს. ესკიზს ავტორმა უნდა დაურთოს შემდეგი ცნობები: ძეგლის ნატურალური ზომა, ძეგლის ამართვისათვის ამორჩეული ადგილის აღწერა და გეგმა, აგრეთვე რა მასალისაგან ფიქრობს ავტორი ძეგლის აგებას. ამასთან დახურული კონვერტით, რომელზეც აღნიშნული იქნება დევიზი, კონკურსის მონაწილემ უნდა გამოგზავნოს წერილი ავტორის გვარის, სახელის, მამის სახელისა და მისამართის აღნიშვნით.

ესკიზი, ზემოაღნიშნულ ცნობებთან ერთად, უნდა გაიგზავნოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოში კონკურსის ჟიურის სახელზე შემდეგი მისამართით: ქალაქი თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 23, მესამე სართული.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია. პირველი პრემია — 20.000 მანეთი, მეორე — 10.000 მანეთი და მესამე ორი პრემია — თითო 5.000 მანეთი. ამას გარდა, კონკურსის მონაწილე ყველა დანარჩენ მოქანდაკეს წარმოდგენილ ესკიზში მიეცემა 1.000 მანეთი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დაამტკიცა კონკურსის ჟიური შემდეგი შემადგენლობით: რ. შადური (თავმჯდომარე), ს. ჯანაშია, ა. ქუთათელი, ს. ჩიქოვანი, შ. მამალაძე, გ. ლეონიძე, გ. ქიქოძე, უ. ჯაფარიძე და ა. ჩიტაიშვილი.

კონკურსის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1946 წლის 15 თებერვალი.

ოს მხატვართა ნამუშევრების პირველი გამოფენა

სტალინირი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავთან დაკავშირებით სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო ოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო მხატვარ ა. პლიევის სურათებმა — „საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ხოჩიევი თავის თვითმფრინავთან", „საბჭოთა კავშირის გმირი ქ. კოჩიევი" და „საბჭოთა კავშირის გმირი საბანოვი".

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მხატვარ მ. ტუგანოვის ნამუშევარი „ოსეთის მშრომელ გლეხობას თავისი დანაზოგი შეაქვს თავდაცვის ფონდში" და „საბჭოთა კავშირის გმირი ა. ოსტაევი".

აღსანიშნავია მხატვარ ნ. კაბისოვის ნამუშევრები „სანიტარი ქალი ბრძოლის ველზე" და „საბჭოთა კავშირის გმირი ხაჯიმურზა მილძიხოვი".

გამოფენა 3 დღის განმავლობაში 400-ზე მეტმა მნახველმა დაათვალიერა.

ა. კრიხელი

შემნახველ სალაროთა ქსელის გაფართოება

საქართველოს რაიონებსა და სოფლებში წელს დამატებით გაიხსნა 40 შემნახველი სალარო. სალაროები ძირითადად შექმნილია სოფლის ფოსტის განყოფილებებთან. მახარაძის რაიონში შემნახველი სალაროები გაიხსნა კონჭკათსა, მაკვანეთსა და მთისპირეთში; ცხაკაიას რაიონში — სოფელ ხორშსა და უშაფათში, კასპში — ხოვლესა და ლამისყანაში, თელავში—აკურასა და ფშაველში; ქუთაისში— სოფელ პატრიკეთში.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

3 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება კონსულტაცია პოლიტიკურ ეკონომიაში ქართულ და რუსულ ენებზე. კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. **ტატიშვილი** და ამხ. **ბასილაია.**

4 დეკემბერს, დილის 10 საათზე, სახელოსნო სასწავლებლების პოლიტმუშაკებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: **„საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება და საბჭოთა დემოკრატიის განვითარება".**

სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. **მირიანაშვილი.**

4 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება კონსულტაცია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში ქართულ და რუსულ ენებზე. კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. **მირიანაშვილი** და ამხ. **ნოლიანისი.**

„უძლეველნის" განხილვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 3 დეკემბერს აწყობს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დადგმის „უძლეველნის" საჯარო განხილვას.

შესავალი სიტყვით გამოვა დოცენტი გ. გაჩეჩილაძე. დადგმის შესახებ მოხსენებას გააკეთებს დოცენტი ს. ხუციშვილი. სიტყვებით გამოვლენ აკადემიკოსი ა. შანიძე, პროფესორი ა. ბარამიძე, დოცენტები: პ. კეკელიძე, დ. ჯანელიძე, დ. გამეზარდაშვილი, მწერლები: გ. შატბერაშვილი, ე. ასტვაცატუროვი, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაკები: რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი მხატვარი პროფესორი დ. კაკაბაძე, მსახიობები ს. ზაქარიაძე, ი. ტრიპოლსკი, ომიაძე, პიესის ავტორი ლ. გოთუა. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

2 დეკემბერს: სახელმწიფო ოპერა—„ბორის გოდუნოვი". **რუსთაველის სახელობის** — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". **მარჯანიშვილის სახელობის** — „ქამთაბერის ასული". **მუსიკალური კომედიის** — „არშინ-მალ-ალან". **გრიბოედოვის სახელობის** — „კრეჩინსკის ქორწინება". **სომხური** — „წითელი გულქანდა". **აბუნდოვის სახელობის** — „გულთა დამპყრობელი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „სურამის ციხე".

კინოებში

2 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის და **დამკვრელი** — „არშინ-მალ-ალან". **ოქტომბერი** — „უდანაშაულო დამნაშავენი". **კომკავშირელი** — „მისი მსახურის და". **სპარტაკი**— „ჭირვეული მეზობლები". **ლუქსემბურგის სახელობის** — ფერადი ფილმები: 1. „სრულიად საკავშირო ფიზკულტურული პარადი", 2. „გამარჯვების პარადი". **26 კომისრის სახელობის** — „არშინ-მალ-ალან".

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 12 დეკემბერს, დღის 2 საათზე, უნივერსიტეტის მთავარ შენობაში, აუდიტორია № 86 (მარის ქ. № 1) **მ. სოკვოტოვი** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: «Опыты по исторической методологии фольклора».

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, დოქტორი **ს. ი. დანელია,** პროფესორი, დოქტორი **ნ. ილინსკი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თოჯინების ქართული თეატრი
რუსთაველის პროსპექტი № 23
2 დეკემბერს ორი წარმოდგენა
„ნანა ტყეში"
დასაწყისი 2 საათზე და
„ალადინის ჯადოსნური ლამპარი"
დასაწყისი სალ. 8 საათზე.
3 დეკემბერს
„სვანეთის მთებში"
დასაწყისი დღის 12 საათზე.

მოქალაქე **ლევან მიკიჩას-ძე ზურაბოვმა,** მცხოვრებმა ლენინის ქუჩა № 18 სახლში, აღძრა საქმე რუსთაველის პროსპექტი № 25 მცხოვრებ მოქალაქე **ანა დარჩოს-ასულ ასლამაზოვთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ბერიას რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლოში.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 09814